



**საქართველო**  
**ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** N 41 427

22/04/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 მარტის N 41 338 ბრძანებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის N 2 ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პრევენციული ზომების მიღების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 მარტის N 41 338 ბრძანების მე-9 პუნქტში და ბრძანების მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი კუპრამის ქ. N 11, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ გოგსაძე

მუნიციპალიტეტის მერი